ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2308185

ნომერი: AR1357262

თარიღი : 17.11.2015

გაცემის თარიღი : 20.11.2015

გაცნობის თარიღი : 20.11.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 42 / ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 42 , (ნაკვეთი N8/24) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე კოკოლაშვილი პ/ნ 01008017172
- ო. ლორთქიფანიძის ქ. #1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: ქ. თბილისის 2014 წლის 30 დეკემბრის #20-104 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში თბილისი) ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება; მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ფ" ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, "ე" ქვეპუნქტით სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე (გადასინჯოს წარმოდგენილი საპროექტო ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე) ამასთანავე ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა–ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, მთავრობის 2001 წლის 24 იანვრის # 01.14.11 დადგენილება ქ. თბილისის ცენტრალურ მაგისტრალებზე განთავსებული ავტოსამრეცხაოების არქიტექტურულად მოწესრიგების ღონისძიების შესახებ – აღნიშნულის გათვალისწინებით კი დაუშვებელია ავტოსამრეცხაოს ფუნქციონირება ,ანუ ძირითადი ფასადის ორიენტაცია ცენტრალური მაგისტრალის, ქუჩების მხარეს ტროტუარებზე და სავალი ნაწილის სიახლოვეს სამსახური თქვენს მოთხოვნას ავტოსამრეცხაოს ბოქსების მოწყობასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი სახით კვლავ ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.